ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტი

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

ივლისი, 2017

ქვე-პროექტის აღწერა

წარმოდგენილი ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის (საერთო სიგრძით- 7700მ, სიგანე- 7-8 მ) რეაბილიტაცია. სოფელი ციხისჯვარი წარმოადგენს კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტს და ასევე ცნობილია, შუა საუკუნეების ეკლესიითა და ციხესიმაგრით- ციხისჯვარით.

გზის გასწვრივ განთავსებულია შპს „საქორგაზისა“ და BP- ის საკუთრებაში არსებული მიწსადენები. იმ მიზნით, რომ თავიდან ავირიდოთ აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობების დაზიანება ან ოპერირების შეწყვეტა, პროვაიდერები უკვე გაფრთხილებულნი არიან წერილობით დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- გზის გვერდულების მოწყობას ქვიშა-ხრეშის ნარევით;
- არსებული სადრენაჟე სისტემის გასუფთავება დანალექი გრუნტისგან;
- ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა ბორჯომულა, ოშორასა და კუმისას მდინარეებზე არსებულ პატარა ხიდებზე;
- ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა გზაზე (საერთო სიგრძით-7,7 კმ);
- გზის გასწვრივ კიუვეტების მოწყობა;
- აზბესტ შემცველი მილების დემონტაჟი (60 მ);
- შენობებთან მისასვლელების და მიერთებების მოწყობა;
- მუდმივი საგზაო მაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმთითებელი ნიშნების განთავსება;
- გზის გასწვრივ ეკალ-ბარდების გაკაფვა;

„ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხიმგებელი საპროექტო გზის მოვლა-პატრონობაზე.

(ა) ზემოქმედების შეფასება

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი გავლენა იქნება პოზიტიური, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები იქნებიან უზრუნველყოფილნი უფრო კომფორტული გარემოთი. ძირითადი უარყოფითი გავლენა ძირითადად დაკავშირებულია სამშენებლო ფაზასთან და მოიცავს გზის ვაკისის, საფარისა და კიუვეტების მოწყობას, მძიმე ტექნიკის ოპერირება მოძრაობას და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სარეაბილიტაციო გზა მდებარეობს ძლიერად მოდიფიცირებულ გარემოში, უარყოფითი გავლენა (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობის დროებითი შეზღუდვა) იქნება გარდამავალი და უმნიშვნელო.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	გარემოზე ძირითად ზემოქმედებას ადგილი ექნება მშენებლობის ფაზაში, რომელიც მოიცავს გზის ვაკისის, საფარისა და კიუვეტების მოწყობას, მძიმე ტექნიკის ოპერირება-მოძრაობასა და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას. მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არსებულ სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე იქნება დროებითი და დაკავშირებული მხოლოდ მცირე ზომის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან: ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობის დროებითი შეზღუდვა. წარმოდგენილი ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად შემცირდება გზის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები, საწვავის მოხმარება, ჯანმრთელობისთვის საზიანო გამონაბოლქვი და ემისიები. გაიზრდება ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება და ტურისტთა ნაკადები. გაზრდილ ტურისტების ნაკადს ექნება პოზიტიური სოციალური გავლენა დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესებით და სამცხე-ჯავახეთში ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარების კუთხით. ქვე-პროექტის განხორციელება შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მათი შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობას. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო

	სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, მოძრაობის დროებითი შეფერხება, ფეხით მოსიარულეთა მისადგომობის დარღვევა. დაახლოებით 400 მ^3 ინერტული ნარჩენი წარმოიქმნება სადრენაჟე სისტემის მოწყობისა და ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების შედეგად. უახლოესი მუნიციპალური ნაგავსაყრელი მდებარეობს სოფელ თაგვეთში, ხაშურის მუნიციპალიტეტში. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გზის დატბორვის რისკი, სამუშაოები არსებული სადრენაჟე სისტემის მოწყობისთვის დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში. სამუშაოებისათვის საჭირო ინერტული მასალების, ასევე, წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირება გამოიწვევს მიმდებარე საავტომობილო გზის დატვირთვის მცირედ გაზრდას და ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების შეწუხებას.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტს ექნება ხანგრძლივი სოციალური გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის სატრანსპორტო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების სახით. გზის რეაბილიტაციის შედეგად შემცირდება მტვერი, ემისიები და ხმაური. ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის შესყიდვას. გამომდინარე იქიდან, რომ გზის კორიდორი იქნება 7-8 მეტრი და მის გასწვრივ განლაგებულია კერძო ნაკვეთები, ტროტუარის მოწყობა შეუძლებელია განსახლების გარეშე, რაც გაუმართლებელია ფინანსური და სოციალური თვალსაზრისით. გზის გასწვრივ განთავსდება საგზაო ნიშნები ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტით მოსარგებლეთა უსაფრთხოების მიზნით. წარმოდგენილი ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება საპროექტო ობიექტის ტურისტული მიმზიდველობა. გაზრდილ ტურისტების ნაკადს ექნება პოზიტიური სოციალური გავლენა დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესებით და სამცხე-ჯავახეთში

	ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარების გზით. გრძელვადიან პერსპექტივაში ქვე-პროექტის სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი - გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება; შემცირდება ჯანმრთელობისთვის საზიანო გამონაბოლქვის გამოყოფა, მტვერის წარმოქმნა და საწვავის მოხმარება. გაუმჯობესდება ტერიტორიის ვიზუალური მხარე. სამშენებლო სამუშაოების მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორიცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა და ინფექციების განვითარების რისკი არ არის მოსალოდნელი.

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას	გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გზის რეაბილიტაციას, რაიმე სხვა ალტერნატივა პროექტთან დაკავშირებით არ განხილულა.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	გზის რეაბილიტაციის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პერიოდში აუცილებელია მოძრაობის ორგანიზება და სამშენებლო მონაკვეთების შემოფარგვლა. სამუშაოების დაწყებამდე უნდა დაზუსტდეს მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგება და ჩალაგების სიღრმე კომუნიკაციების ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით და დაზუსტებული კომუნიკაციები შემოიფარგლოს.

	აზბესტის მილების დემონტაჟი უნდა მოხდეს არსებული უსაფრთხოების წესების დაცვით და განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე მთავრობის 2016 წლის 25 მარტის # 145 განკარგულების მიხედვით. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გზის გასწვრივ არსებული ხაზოვანი ნაგებობების ოპერირების შეზღუდვა, პროვაიდერებს უკვე წერილობით ეცნობათ დაგეგმილი სამუშაოებს შესახებ ინფორმაცია.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის ქვე პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე პროექტი ითვალისწინებს არა მარტო გზის საფარის რეაბილიტაციას, ასევე სანიაღვრე არხების და მილების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გზის საფარის მოვლა-შენარჩუნებას.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	ქვე-პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა 2016 წლის 18 აგვისტოს ბაკურიანში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული ოფისში. განცხადება საჯარო განხილვის შესახებ გფანტავდა ოფისის საინფორმაციო დაფაზე. საჯარო განხილვის ოქმი თანდართულია გარემოსდაცვითი მართვის გეგმაზე.

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვეპროექტი მიღებულია ■

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მმცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას ■
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ▢

ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		X
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის და სახელება	რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	წარმოდგენილი ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის (საერთო სიგრძით-7700მ, სიგანე- 7-8 მ)რეაბილიტაცია. სოფელი ციხისჯვარი წარმოადგენს კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტს და ასევე ცნობილია, შუა საუკუნეების ეკლესიითა და ციხესიმაგრით- ციხისჯვარით. გზის გასწვრივ განთავსებულია შპს „საქორგაზისა“ და BP- ის საკუთრებაში არსებული მილსადენები. იმ მიზნით, რომ თავიდან ავირიდოთ აღნიშნული ხაზოვანი ნაგებობების დაზიანება ან ოპერირების შეწყვეტა, პროვაიდერები უკვე გაფრთხილებულნი არიან წერილობით დაგეგმილი სამუშაოების შესახებ. ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: - გზის გვერდულების მოწყობას ქვიშა-ხრეშის ნარევით; - არსებული სადრენაჟე სისტემის გასუფთავება დანალექი გრუნტისგან; - ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა ბორჯომულა, ოშორასა და კუმისას მდინარეებზე არსებულ პატარა ხიდებზე; - ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა გზაზე (საერთო სიგრძით-7,7 კმ); - გზის გასწვრივ კიუვეტების მოწყობა;

	- აზბესტ შემცველი მილების დემონტაჟი (60 მ); - შენობებთან მისასვლელების და მიერთებების მოწყობა; - მუდმივი საგზაო მაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმთითებელი ნიშნების განთავსება; - გზის გასწვრივ ეკალ-ბარდების გაკაფვა; „ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის დადებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების“ საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტი იქნება პასუხიმგებელი საპროექტო გზის მოვლა-პატრონობაზე.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: როზანა ნიტი	უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე - გარემოსდაცვის სპეციალისტი დავით ჯეჯელავა- სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: შპს "Soosung Enginnering Co." (კორეა), შპს "Voyants Solutions Pvt.." (ინდოეთი) SAMAN Corporation" (კორეა) and შპს "გზამშენპროექტი" (საქართველო)	სამუშაოთა კონტრაქტორი: (----------)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი		

ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ბორჯომი, მესხეთის ქუჩა # 5 ტელეფონი : (0367) 222416224499
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	ბორჯომის მუნიციპალიტეტი
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	ქვე-პროექტი ითვალისწინებს ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას. ბაკურიანი საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამთო-კლიმატური კურორტია. ბაკურიანი ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარეობს. თბილისსა და ბაკურიანს შორის მანძილი 180კმ-ია, ხოლო ბორჯომიდან ის მხოლოდ 30კმ-შია. ჰავა ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურისაკენ გარდამავალია, ზამთარი - ცივი, თოვლიანი, ზაფხული - ხანგრძლივი. საშუალო წლიური ტემპერატურა 4,3 C, იანვრისა - 7,2 C, აგვისტოსი 15 C. ნალექები 734 მმ წელიწადში. თოვლის საფარი (64 სმ სისქის) დეკემბრის დასაწყისიდან მარტის ბოლომდე. საპროექტო გზა გადის, როგორც დასახლებულ, ასევე დაუსახლებელ ტერიტორიებზე. ამჟამად, არსებული გზა წარმოადგენს გრუნტის გზას, რომელიც უმეტესწილად დაზიანებულია. სადრენაჟე სისტემა გამოსულია მწყობრიდან და წვიმის წყალი გზის ზედაპირზე ქმნის გუბეებს, რაც კიდევ უფრო აზიანებს გზის საფარს.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	უახლოესი ლიცენზირებული კარიერები მდებარეობს საშუალოდ 22 კმ-ში. ხოლო უახლოესი ნაგავსაყრელი სოფელ თაგვეთში , ხაშურის მუნიციპალიტეტი.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის B კატეგორიის პროექტი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ

	საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iii) კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) ზედმეტი გრუნტის განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; (v) იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ სახიფათო ნარჩენების გარკვეული რაოდენობა ან 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა. კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის სამინისტროსთან „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად. (vi) აზბესტის მილების დემონტაჟი უნდა მოხდეს არსებული უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით და უნდა განთავსდეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე მთავრობის 2016 წლის 29 მარტის # 145 განკარგულების მიხედვით. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში მიწის სამუშაოების დროს კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაო ტერიტორიაზე და შეატყობინოს მგფ-ს. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კულტურისა

	და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების საფუძველზე. დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	ქვე-პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა 2016 წლის 18 აგვისტოს ბაკურიანში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული ოფისში. განცხადება საჯარო განხილვის შესახებ გფანტავდა ოფისის საინფორმაციო დაფაზე. საჯარო განხილვის ოქმი თანდართულია გარემოსდაცვითი მართვის გეგმაზე.
დანართები	
დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე (იქნება მოწოდებული) სხვა ნებართვები/შეთანხმებები - საჭიროების მიხედვით	

B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	**სტატუსი**	**შემარბილებელი ღონისძიებები**
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. გზის რეაბილიტაცია	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**A**
	B. ახალი მშენებლობა	[ ]დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**A**
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	[ ] დიახ [ ]არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**B**
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [ ]არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**C**
	E. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [ ]არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**D**
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები[2]	[ ] დიახ[ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**E**
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**F**
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[ ] დიახ [ ]არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**G**
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[ ]დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი**H**

[1]მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

[2]ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემპოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
A.ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) დემონტაჟის შედეგად წარმოებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და აუცილებელია მისი წყლით დასველება, ნარჩენების მტვრის შემცირების მიზნით; (b) პნევმატური ბურღვის/კედლის ჩამონგრევის დროს წარმოებული მტვრის ჩახშობა უნდა განხორციელდეს წყლის შესხურებით და/ან მტვრისგან დამცავი ეკრანის მოწყობით; (c) აუცილებელია, რომ გარემომცველი გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი იყოს სამშენებლო ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (d) სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა - ღია სახით;

		(e) სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა იყოს სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების გადამეტებული - არამიზნობრივი მოძრაობა; (f) აუცილებელია ტვირთის სათანადოდ გადაფარვა გადაზიდვის დროს.
	ხმაური	(a) მშენებლობით გამოწვეული ხმაურის შეზღუდვა მოხდება ნებართვაში მითითებული შეთანხმებული დროის შესაბამისად; (b) მუშაობის დროს აუცილებელია გენერატორების, საჰაერო კომპრესორების და სხვა ელ. მექანიკური აღჭურვილობის ძრავების სახურავების დახურვა, ხოლო აღჭურვილობის განთავსება უნდა მოხდეს დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით; (c) მექანიზმების მოძრაობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; (d) აუცილებელია მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა; (e) აუცილებელია მექანიზმების შესაბამისი ტექნიკური კონტროლის და მოვლა-პატრონობის პრაქტიკის გამოყენება; (f) სატრანსპორტო საშუალებების და მძიმე ტექნიკის ფუჭი მუშაობა ნებადართული არ არის. მექანიზმებზე გამოყენებული იქნება სპეციალური დამხშობები.
	წყლის ხარისხი	(a) კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ორგანიზება გაუწიოს და გადახუროს მასალის საწყობები; აღნიშნული საწყობების გადახურვა უნდა მოხდეს წყალგაუმტარი მასალით, ძლიერი წვიმის და წყალდიდობის დროს გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე აუცილებელია ეროზიისა და ნალექების ისეთი მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მაგ. თივის ზვინები და/ან ლამის შემოღობვები, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნალექების სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასვლა, რამაც შესაძლოა ზედმეტად აამღვრიოს მახლობლად მდებარე მდებარე მდინარეები და ნაკადულები; (b) კონტრაქტორი ვალდებულია დაგეგმოს ყველა სახის მიწის სამუშაოები და უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ქვენიადაგის განთავსება ისე, რომ წყლის ჭარბი ჩამონადენის მოცულობა მინიმუმამდე იქნას შემცირებული; (c) აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ზეთის და საპოხი მასალების გაჟონვის ფაქტის არსებობის/არარსებობის დადგენის მიზნით. ყველა სახის მექანიზმების მოვლა-პატრონობა და მუშაობა უნდა მოხდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა, ან დაღვრა, მინიმუმამდე იყოს შემცირებული; აუცილებელია ყოველდღიური შემოწმება (სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობის პროცედურების შესაბამისად), გაჟონვის, ან რაიმე სახის პრობლემის არ არსებობის დადასტურების მიზნით. სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა, გასუფთავება, ცხიმისგან გაწმენდა განხორციელდება კონკრეტულ ადგილებში - ბეტონის საფუძველზე და არა დაყრილ გრუნტზე. აღნიშნული მონაკვეთები არ უნდა იყოს განთავსებული მდინარიდან 50 მ მანძილზე;

		(d) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები აუცილებელია განთავსდეს და გამოყენებულ იქნას მექანიზმების მომსახურების მიზნით - კონკრეტულ მონაკვეთებზე - სპეციალურად მოწყობილ ადგილზე, შესაძლო მუშაობის და აუცილებელი შემოსაზღვრის უზრუნველყოფით. აუცილებელია, რომ ისეთი მასალები, როგორიცაა მაგ. სორბენტი, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და ა.შ. ხელმისაწვდომი იყოს სამშენებლო ტერიტორიაზე; (e) სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩაშვება ნებისმიერ მდინარეში, რუში, ან თხრილში, დაუშვებელია; (f) სამუშაოები ღელის გადაკვეთის ადგილებში. კონტრატორი ვალდებულია, რომ უზრუნველოს საღებავების, ზეთის და საპოხი მასალების სათანადო მოვლა, მათი წყალში ჩაღვრის თავიდან აცილების მიზნით. პოტენციურად დამაბინძურებელი მასალების შენახვა მდინარიდან 50 მ პერიმეტრში, აკრძალულია. არსებული ბოგირის დემონტაჟის სამუშაოები უნდა განხორციელდეს ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი წყლის კალაპოტის დაბინძურების საფრთხე. წარმოქმნილი ნარჩენების გატანილი უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის მიერ ოფიციალურად გამოყოფილ ადგილას.
	ნარჩენების მართვა	(a) საჭიროა ნარჩენების შეგროვების და გადაყრის გზების და ტერიტორიების იდენტიფიკაცია ყველა ძირითადი სახეობის ნარჩენებისთვის, რომელიც მოსალოდნელია სადემონტაჟო და სამშენებლო საქმიანობის პროცესში; (b) მინერალური სამშენებლო და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სეპარაცია მოხდება ძირითადი, ორგანული, სითხის და ქიმიური ნარჩენების შესაბამისად, სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დახარისხებით და შესაბამის კონტეინერებში განთავსებით; (c) ნარჩენების გატანის ამსახველი ჩანაწერები წარმოადგენს მათი სათანადო მართვის საფუძველს; (d) შესაძლებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორი ხელმეორედ გამოიყენებს და გადაამუშავებს შესაბამისი სიცოცხლისუნარიანობის მქონე მასალებს (აზბესტის გარდა).
	მასალების მიწოდება	a) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად; b) მოპოვებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა; c) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში; d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში;

		e) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა	(a) ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა; (b) აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და დალუქული, მისი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად; (c) დემონტაჟამდე აზბესტის მასალა უნდა დასველდეს, რათა შემცირდეს აზბესტის მტვერი; (d) აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით; (e) თუ აზბესტის მასალა ინახება დროებით, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იყოს დახურული და შესაბამისად აღნიშნული, უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად; (f) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული.
H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	- ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით: - განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; - უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; - სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში. - სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სისტემა და პერსონალისთვის ტრეინინგის (სწავლების) ჩატარება, განსაკუთრებით სამშენებლო ტერიტორიაზე მისვლის და სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად არსებული გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის შესახებ. უსაფრთხო

		გადასასვლელების და გასასვლელების მოწყობა ფეხით მოსიარულეებისთვის იქ, სადაც ხდება სატრანსპორტო მოძრაობის შეჭრა; - სიჩქარის შემამცირებელი ბარიერებისა და შესაბამისი ნიშნების მოწყობა (საგზაო ისრები/ქვეითად მოსიარულეთათვის) სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემცირების მიზნით, ადგილობრივ საგზაო პოლიციასთან შეთანხმების საფუძველზე.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლიას ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირეისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

					დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
აზბესტის მართვა	აზბესტის შემცველი მასალის დემონტაჟის დროს უნდა მოხდეს ტერიტორიის დატენიანება მტვრის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და მუშები უნდა იყვნენ აღჭურვილნი სპეციალური ნიღბებითა და უნიფორმებით. უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად: ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი სათანადოდ უნდა იყოს დალუქული და გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა და დაუყოვნებლივ განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაციის და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველები

	ნაგავსაყრელზე- სოფელ თაგვეთში, საზედამხედველო კომპანიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.					
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.				დაბინძურების თავიდან აცილება	
საოპერაციო ფაზა						
რებილიტირებული გზის მოვლა	გზის საიდენტიფიკაციო ნიშნებისა განთავსება; არსებული ქუჩის მონაკვეთების დემარკაცია - შეკეთების პროცესში; ასფალტის და/ან სხვა ნარჩენების გატანა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ტერიტორიიდან გამოყოფილ ნაგავსაყრელზე	რეაბილიტირებული გზები	ინსპექტირება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	ბორჯომის მუნიციპალიტეტი

დანართი 1. ქვე-პროექტის განხორციელების ადგილის სქემა და ფოტომასალა

ორთო-ფოტო ბაკურიანი-ანდეზიტი-დამაკავშირებელი გზის

ორთო-ფოტო ციხისჯვარი-ანდეზიტის დამაკავშირებელი გზის

ფოტომასალა

დანართი 2. საჯარო განხილვის ოქმი

18 აგვისტო, 2017 წელი

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)

„ ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია“

ქვე-პროექტის გარემოს დაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2017 წლის 18 ივლისს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გამგებლის წარმომადგენლის ოფისში გაიმართა ქვე-პროექტის „ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია“ გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ადგილობრივი მოსახლეობა: ზოია თიგიშვილი, ალექს მუხინაშვილი, გელა ბიბილურაძე, ტრისტან მუხინაშვილი, კახაბერ გურგენიძე, გიორგი სეროფიანი, ნიკოლოზ პავლოვი, ზურაბ ბლიაძე, თედორე ილიევი, ხათუნა პავლოვა, გიორგი ივანოვი, არჩილ ხუციშვილი, თამაზ ხუციშვილი, ვასილ პავლოვი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ბაკურიანის ად. ერთეულში: გოჩა გობრონიძე

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინიკო ისაკაძე- გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალისტი;

ნუცა გუმბერიძე- ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა ნინიკო ისაკაძემ, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის, შეხვედრის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან შეხვედრისას განიხილა ქვე-პროექტისათვის მომზადებული

გარემოს დაცვის მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების ან შერბილებისთვის. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ნინიკომ ისაკაძემ ისაუბრა გარემოს დაცვის მართვის გეგმის მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს დოკუმენტით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნინიკო ისაკაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
როდის გამოცხადდება ტენდერი?	უახლოეს მომავალში ტენდერი გამოცხადდება, მოხდება კონტაქტორის მობილიზაცია და სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.
რამდენი ხანი გაგრძელდება სამშენებლო სამუშაოები?	სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 7 თვე.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმართ.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის გარემოს დაცვის უსაფრთხოების სპეციალისტის ნინიკო ისაკაძის მიერ.

18 ივლისი, 2017

დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

18 ივლისი, 2017

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	ანდეზიტი	595 70 90 22	[illegible]
2.	[illegible]	სოფ. ანდეზიტი	599 268095	[illegible]
3.	[illegible]	სოფ. [illegible]	599259949	[illegible]
4.	[illegible]	სოფ. [illegible]	599106032	[illegible]

5.	[illegible]	[illegible]	595887552	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	595942395	[illegible]
7.				[illegible]
8.	[illegible]	[illegible]	599507502	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	599488974	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	599561250	[illegible]
11.				

	[illegible]	[illegible]	599 41 484 6	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	599202222	[illegible]
13.	[illegible]	[illegible]	599988208	[illegible]
14.	[illegible]	[illegible]	593936484	[illegible]
15.	[illegible]	[illegible]	599937380	[illegible]
16.	[illegible]	[illegible]	599322355	[illegible]
17.				

ფოტომასალა